



სს „ბორჯომი ლიკანი ინტერნეშენალ“

ფინანსური ანგარიშგება და მმართველობითი ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

3

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	8
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	10
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	11

1. ანგარიშვალდებული საწარმო	11
2. აღრიცხვის საფუძველი	12
3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა.....	12
4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება.....	12
5. შემოსავალი	13
6. სხვა საოპერაციო ხარჯები	13
7. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	14
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	14
9. ძირითადი საშუალებები და საინვესტიციო ქონება	15
10. კაპიტალი	15
11. სესხები და კრედიტები	16
12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18
14. პირობითი ვალდებულებები	21
15. დაკავშირებული მხარეები.....	22
16. შემდგომი მოვლენები	23
17. შეფასების საფუძველი	23
18. არსებითი ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ.....	23
19. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული	36

მმართველობითი ანგარიშგება

3

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სააქციო საზოგადოება „ბორჯომი ლიკანი ინტერნეიშენალის“ მფლობელსა და ხელმძღვანელობას:

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს „ბორჯომი ლიკანი ინტერნეიშენალის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ამავე თარიღით დასრულებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ აბზაცში განხილული საკითხებისა თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

1. ამავე დასკვნის ნაწილში, სხვა გარემოების პარაგრაფში არის ნახსენები, რომ წინარე აუდიტორს მარაგების არსებობაზე პირობითი მოსაზრება აქვს გამოთქმული (1,246 ათასი ლარი ნაშთი). 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აუდიტის პროცესის დროს ჩვენ ვერ შევძელით საწყის ნაშთზე მარაგების არსებობაზე შესაბამისი რწმუნების მოპოვება, შესაბამისად, 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მარაგებზე ჩვენ გავთვქვამთ პირობითი მოსაზრებას. თუმცა, ჩვენ დავესწარიტ მარაგების ფიზიკური დათვლის პროცესს და მივიღეთ საკმარისი და შესაბამისი აუდიტორული მტკიცებულება მარაგების ნაშთის შესახებ, რომელიც აღრიცხულია 1,444 ათასი ლარის ოდენობით 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.
2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მე-18 შენიშვნაში აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით, მიწის შენობების და სატრანსპორტო საშუალებების შემდგომი შეფასებისთვის კომპანია გადაფასების მოდელს იყენებს. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი ბასს 16 „ძირითადი საშუალებები“-ს მიხედვით მოითხოვება, რომ გადაფასებული მოდელით აღრიცხული მუხლების გადაფასება განხორციელდეს სათანადო სიხშირით იმის უზრუნველსაყოფად, რომ საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს იმ ღირებულებებისგან, რომელიც განისაზღვრებოდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არსებული სამართლიანი ღირებულებების გამოყენებით. მსგავსი გადაფასება არ ჩატარებულა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, თუმცა არსებობს მინიშნებები იმისა, რომ გადაფასებული ღირებულებით აღრიცხული მუხლების 42,353 ათასი ლარის ოდენობით საბალანსო ღირებულება შეიძლება არსებითად მეტი იყოს მათ სამართლიან ღირებულებაზე აღნიშნული თარიღისთვის. ფასს აღრიცხვის სტანდარტების აღნიშნული დარღვევის გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე არ ყოფილა განსაზღვრული.

ამასთან, კომპანია არ აწარმოებდა სათანადო სააღრიცხვო ჩანაწერებს ძირითადი საშუალებებისთვის. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი მტკიცებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 220 ათასი ლარის ოდენობით აღრიცხული საოფისე ინვენტარის და ავეჯის საბალანსო ღირებულების შესახებ. შედეგად, ჩვენ ვერ დავადგინეთ იყო, თუ არა საჭირო კორექტირებები ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებადასთან, ცვეთის ხარჯთან და ფინანსური მდგომარეობის, მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების დაკავშირებულ ელემენტებთან მიმართებაში 2024 წლის 31 დეკემბრისთვის და აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის. აქვე აღვნიშნავთ, რომ როგორც სხვა გარემოებათა პარაგრაფშია ნახსენები, კომპანიის ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრისთვის და აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის, აუდიტირებული იყო სხვა აუდიტორის მიერ, რომელმაც გამოთქვა პირობითი მოსაზრება აღნიშნულ ანგარიშგებაზე იგივე საკითხის გამო, 2024 წლის 10 დეკემბრით დათარიღებულ დასკვნაში.

სხვა ინფორმაცია, რომელიც მოცემულია ხელმძღვანელობის ანგარიშში - მმართველობითი ანგარიშგება

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მმართველობის ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების წარდგენაზე. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის შესახებ, რისკების ანალიზს, სამომავლო გეგმებს და სხვა ინფორმაციას ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში საქართველოს კანონის მიხედვით. მმართველობითი ანგარიშგება ხელმისაწვდომია მხოლოდ ქართულ ენაზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობით ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა მმართველობითი ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია და წარვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

დამატებით, ჩვენი ვალდებულებაა გამოვთქვათ მოსაზრება მომზადებულია თუ არა მმართველობითი ანგარიშგება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს თუ არა ის ყველა მოთხოვნილ ინფორმაციას.

თუ ჩატარებული პროცედურების საფუძველზე დავასკვნით, რომ მმართველობის ანგარიშგება მოიცავს არსებით უზუსტობებს, ჩვენ ვალდებული ვართ განვაცხადოთ ამ ფაქტზე და უზუსტობის არსზე. ჩვენ არ გავაჩნია საფუძველი გავაკეთოთ მოხსენება ამ საკითხთან დაკავშირებით.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით, კომპანიის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- შესაბამება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებას;
- შეიცავს იმ ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

სხვა გარემოება

კომპანიის 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი განახორციელა სხვა აუდიტორმა, რომელმაც გამოთქვა მოდიფიცირებული მოსაზრება. დასკვნა გაიცა 2024 წლის 10 დეკემბერს. მოდიფიცირებული მოსაზრება შემდეგს ეხებოდა ეხებოდა:

- **მარაგებს** – აუდიტორები ვერ დაესწრნენ მარაგების დათვლას და ვერ მოიპოვეს საკმარისი მტკიცებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობილი მარაგების ოდენობაზე.
- **ძირითადი საშუალებების გადაფასებას** – არ ჩატარებულა საჭირო სიხშირით გადაფასება, რის გამოც მათი საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაძლოა არსებითად განსხვავდებოდეს სამართლიანი ღირებულებისგან. ასევე, **ძირითადი საშუალებების აღრიცხვას** – არ არსებობს სათანადო ჩანაწერები, რის გამოც აუდიტორებმა ვერ დაადასტურეს მათი ღირებულება ალტერნატიული გზით 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ხელმძღვანელობისა და მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა აგრეთვე მოიცავს შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებასა და დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს თაღლითობით თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში მენეჯმენტი ვალდებულია შეაფასოს კომპანიის შესაძლებლობა გააგრძელოს საქმიანობა უწყვეტად და, საჭიროების შემთხვევაში, წარადგინოს ახსნა-განმარტებითი ინფორმაცია საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებით. მენეჯმენტი აგრეთვე ვალდებულია მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება საწარმოს უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტი აპირებს კომპანიის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეჩერებას, ან თუ კომპანიას არ აქვს სხვა რეალისტური არჩევანი.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან მეთვალყურეობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების წარდგენის პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ას-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ას-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და აუდიტის პროცესში პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ჩვენ ასევე

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგვემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.



მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ანა გაბუღავა, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-518332)

შპს ნექსია ჯორჯია (SARAS-F-550338)

ივლისი 31, 2025

თბილისი, საქართველო

A handwritten signature in blue ink is positioned to the left of a circular blue stamp. The stamp contains the Nexia Georgia logo, the company name 'Nexia Georgia', and the identification number '405040682' at the top. The outer ring of the stamp contains the text 'საერთაშორისო აუდიტორული კომპანია' (International Audit Firm) and 'NEXIA GEORGIA LLC'.

სს „ბორჯომი ლიკანი ინტერნეიშენალი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის

'000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	42,573	43,705
არამატერიალური აქტივები		5	5
გრძელვადიანი აქტივები		42,578	43,710
მარაგები		1,144	1,246
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	125	367
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	8,344	6,501
მოკლევადიანი აქტივები		9,613	8,114
სულ აქტივები		52,191	51,824
კაპიტალი	10		
სააქციო კაპიტალი		51,145	51,145
კაპიტალის რეზერვები	10(c)	(29,802)	(23,876)
გადაფასების ნამეტი		3,750	3,750
კაპიტალის კონტრიბუცია	10(e)	21,840	-
სხვა კაპიტალი	10(f)	49,715	-
დაგროვილი ზარალები		(87,681)	(82,869)
სულ კაპიტალი		8,967	(51,850)
ვალდებულებები			
სესხები და კრედიტები	11	40,864	101,367
გრძელვადიანი ვალდებულებები		40,864	101,367
სესხები და კრედიტები	11	786	758
ანარიცხები		91	91
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	1,483	1,458
მოკლევადიანი ვალდებულებები		2,360	2,307
სულ ვალდებულებები		43,224	103,674
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		52,191	51,824

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 31 ივლისს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:

კობა აბულაძე
დირექტორი

ზურაბ ანთელიძე
ფინანსური დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებთან ერთად, რომელიც ფინანსური ანგარიშგების ნაწილია და განთავსებულია 11 -37 გვერდებზე.

სს „ბორჯომი ლიკანი ინტერნეშნალი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის

'000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	42,573	43,705
არამატერიალური აქტივები		5	5
გრძელვადიანი აქტივები		42,578	43,710
მარაგები		1,144	1,246
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	125	367
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	8,344	6,501
მოკლევადიანი აქტივები		9,613	8,114
სულ აქტივები		52,191	51,824
კაპიტალი	10		
სააქციო კაპიტალი		51,145	51,145
კაპიტალის რეზერვები	10(c)	(29,802)	(23,876)
გადაფასების ნამეტი		3,750	3,750
კაპიტალის კონტრიბუცია	10(e)	21,840	-
სხვა კაპიტალი	10(f)	49,715	-
დაგროვილი ზარალები		(87,681)	(82,869)
სულ კაპიტალი		8,967	(51,850)
ვალდებულებები			
სესხები და კრედიტები	11	40,864	101,367
გრძელვადიანი ვალდებულებები		40,864	101,367
სესხები და კრედიტები	11	786	758
ანარიცხები		91	91
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	1,483	1,458
მოკლევადიანი ვალდებულებები		2,360	2,307
სულ ვალდებულებები		43,224	103,674
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		52,191	51,824

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ
2025 წლის 31 ივლისს ფაქტობრივ სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:

კობა აბულაძე
დირექტორი

ზურაბ ანთელიძე
ფინანსური დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს ფინანსური ანგარიშგების
შენიშვნებთან ერთად, რომელიც ფინანსური ანგარიშგების ნაწილია და განთავსებულია
11-37 გვერდებზე.

სს „ბორჯომი ლიკანი ინტერნეიშენალი“
2024 წლის მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

‘000 ლარი	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	5	15,337	14,217
ხელფასები და გასამრჯელოები		(4,181)	(4,121)
მარაგების მოხმარება		(2,389)	(2,442)
ცვეთა და ამორტიზაცია	9	(1,396)	(2,032)
სხვა საოპერაციო ხარჯები	6	(3,256)	(2,991)
გაუფასურების ზარალის აღდგენა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე		-	173
სხვა წმინდა (ხარჯი)/შემოსავალი		(1)	(35)
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან		4,114	2,769
ფინანსური შემოსავალი		482	470
ფინანსური ხარჯი	11(b)	(11,276)	(12,688)
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა (ზარალი)/შემოსულობა		(4,058)	(242)
წმინდა ფინანსური (ხარჯი)/შემოსავალი		(10,738)	(9,691)
(ზარალი)/მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(10,738)	(9,691)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება/(ზარალი)		(10,738)	(9,691)

ერთეულები, რომლებიც არასოდეს იქნება რეკლასიფიცირებული მოგებაში ან ზარალში

ძირითადი საშუალებების გადაფასება	-	-
სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	-
მთლიანი სრული (ზარალი)/შემოსავალი წლის განმავლობაში	(10,738)	(9,691)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ
2025 წლის 31 ივლისს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:

კობა აბულაძე	ზურაბ ანთელიძე
დირექტორი	ფინანსური დირექტორი

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებთან ერთად, რომელიც ფინანსური ანგარიშგების ნაწილია და განთავსებულია 11 -37 გვერდებზე.

სს „ბორჯომი ლიკანი ინტერნეშნალი“
2024 წლის მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

'000 ლარი	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	5	15,337	14,217
ხელფასები და გასამრჯელოები		(4,181)	(4,121)
მარაგების მოხმარება		(2,389)	(2,442)
ცვეთა და ამორტიზაცია	9	(1,396)	(2,032)
სხვა საოპერაციო ხარჯები	6	(3,256)	(2,991)
გაუფასურების ზარალის აღდგენა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე		-	173
სხვა წმინდა (ხარჯი)/შემოსავალი		(1)	(35)
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან		4,114	2,769
ფინანსური შემოსავალი		482	470
ფინანსური ხარჯი	11(b)	(11,276)	(12,688)
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა (ზარალი)/შემოსულობა		(4,058)	(242)
წმინდა ფინანსური (ხარჯი)/შემოსავალი		(10,738)	(9,691)
(ზარალი)/მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(10,738)	(9,691)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება/(ზარალი)		(10,738)	(9,691)
ერთეულები, რომლებიც არასოდეს იქნება რეკლასიფიცირებული მოგებაში ან ზარალში			
ძირითადი საშუალებების გადაფასება		-	-
სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		-	-
მთლიანი სრული (ზარალი)/შემოსავალი წლის განმავლობაში		(10,738)	(9,691)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ
2025 წლის 31 ივნისს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:

კობა აბულაძე
დირექტორი

ზურაბ ანთულაშვილი
ფინანსური დირექტორი

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებთან ერთად, რომელიც ფინანსური ანგარიშგების ნაწილია და განთავსებულია 11-37 გვერდებზე.

სს „ბორჯომი ლიკანი ინტერნეიშენალი“
2024 წლის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

'000 ლარი	სააქციო კაპიტალი	კაპიტალის რეზერვები	გადაფასების ნამეტი	დაგროვილი ზარალი ები	კაპიტალის კონტრიბუცია	სხვა კაპიტალი	სულ დეფიციტი
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	51,145	(23,647)	3,750	(73,178)	-	-	(41,930)
წლის ზარალი	-	-	-	(9,691)	-	-	(9,691)
მთლიანი სრული ზარალი წლის განმავლობაში	-	-	-	(9,691)	-	-	(9,691)
არაფულადი აქტივების განაწილება	-	(229)	-	-	-	-	(229)
სულ პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები მესაკუთრეებთან	-	(229)	-	-	-	-	(229)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	51,145	(23,876)	3,750	(82,869)	-	-	(51,850)
წლის ზარალი	-	-	-	(10,738)	-	-	(10,738)
მთლიანი სრული ზარალი წლის განმავლობაში	-	-	-	(10,738)	-	-	(10,738)
პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები მესაკუთრეებთან	-	-	-	-	-	49,715	49,715
მიღებული სესხის სამართლიანი ღირებულება	-	(5,926)	-	5,926	21,840	-	21,840
სულ კაპიტალში ასახული ოპერაციები	-	(5,926)	-	5,926	21,840	49,715	71,555
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	51,145	(29,802)	3,750	(87,681)	21,840	49,715	8,967

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ
2025 წლის 31 ივლისის და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:

კობა აბულაძე
დირექტორი

ზურაბ ანთელიძე
ფინანსური დირექტორი

სს „ბორჯომი ლიკანი ინტერნეშნალი“
2024 წლის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

'000 ლარი	სააქცი ო კაპიტა ლი	კაპიტა ლის რეზერ ვები	გადაფ ასების ნამეტი	დაგრო ვილი ზარალ ები	კაპიტა ლის კონსტრ იბუცია	სხვა კაპიტ ალი	სულ დეფიცი ტი
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	51,145	(23,647)	3,750	(73,178)	-	-	(41,930)
წლის ზარალი	-	-	-	(9,691)	-	-	(9,691)
მთლიანი სრული ზარალი წლის განმავლობაში	-	-	-	(9,691)	-	-	(9,691)
არაფულადი აქტივების განაწილება	-	(229)	-	-	-	-	(229)
სულ პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები მესაკუთრებთან	-	(229)	-	-	-	-	(229)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	51,145	(23,876)	3,750	(82,869)	-	-	(51,850)
წლის ზარალი	-	-	-	(10,738)	-	-	(10,738)
მთლიანი სრული ზარალი წლის განმავლობაში	-	-	-	(10,738)	-	-	(10,738)
პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები მესაკუთრებთან	-	-	-	-	-	49,715	49,715
მიღებული სესხის სამართლიანი ღირებულება	-	(5,926)	-	5,926	21,840	-	21,840
სულ კაპიტალში ასახული ოპერაციები	-	(5,926)	-	5,926	21,840	49,715	71,555
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	51,145	(29,802)	3,750	(87,681)	21,840	49,715	8,967

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ
2025 წლის 31 ივლისს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:

კობა აბულაძე
დირექტორი

ზურაბ ანთელიძე
ფინანსური დირექტორი

‘000 ლარი

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან

(ზარალი)/მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე
კორექტირებები:

ცვთა და ამორტიზაცია

გაუფასურების ზარალის აღდგენა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე

წმინდა ფინანსური ხარჯი/(შემოსავალი)

ცვლილებები:

სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში

მარაგებში

სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში

**საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები
მოგების გადასახადის და პროცენტის გადახდამდე**

გადახდილი პროცენტი

**საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი
ნაკადები**

ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან

ძირითადი საშუალებების შეძენა

არამატერიალური აქტივების შეძენა

მიღებული პროცენტი

**საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი
სახსრები**

ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობებიდან

სესხების დაფარვა

**საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი
სახსრები**

წმინდა მატება/(კლება) ფულად სახსრებსა და მათ

ეკვივალენტებში

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს

გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ

ეკვივალენტებზე

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს

შენიშვნა	2024	2023
	(10,738)	(9,691)
	1,396	2,032
	-	(173)
	14,851	12,460
	5,509	4,628
	241	59
	102	(113)
	26	301
	5,878	4,875
11	(515)	(533)
	5,363	4,342
9	(264)	(885)
	-	(2)
	482	313
	218	(574)
11	(3,733)	(673)
	(3,733)	(673)
	1,848	3,095
	6,501	3,447
	(5)	(41)
7	8,344	6,501

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ
2025 წლის 31 ივლისს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:

კობა აბულაძე

დირექტორი

ზურაბ ანთელიძე

ფინანსური დირექტორი

'000 ლარი	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან (ზარალი)/მოგება მოგების გადასახადით დაბეგრამდე კორექტირებები:		(10,738)	(9,691)
ცვეთა და ამორტიზაცია		1,396	2,032
გაუფასურების ზარალის აღდგენა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე		-	(173)
წმინდა ფინანსური ხარჯი/(შემოსავალი)		14,851	12,460
		5,509	4,628
ცვლილებები:			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		241	59
მარაგებში		102	(113)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		26	301
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები მოგების გადასახადის და პროცენტის გადახდამდე		5,878	4,875
გადახდილი პროცენტი	11	(515)	(533)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		5,363	4,342
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	9	(264)	(885)
არამატერიალური აქტივების შეძენა		-	(2)
მიღებული პროცენტი		482	313
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		218	(574)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობებიდან			
სესხების დაფარვა	11	(3,733)	(673)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(3,733)	(673)
წმინდა მატება/(კლება) ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		1,848	3,095
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს		6,501	3,447
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ		(5)	(41)
ეკვივალენტებზე			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	7	8,344	6,501

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ
2025 წლის 31 ივლისს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:

კობა აბულაძე
ფინანსური დირექტორი

ზურაბ ანთელიძე
ფინანსური დირექტორი

1. ანგარიშვალდებული საწარმო

a) საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად, კომპანიაზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი ექვემდებარებიან განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო და ფისკალურ სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის.

საქართველოს ეკონომიკაც დაზარალდა ადნიშნული მოვლენების გამო და ექვემდებარება მომავალ გაურკვევლობებს, ზემოთ აღწერილის შესაბამისად; მეორე მხრივ, 2024 წელს საქართველოს ეკონომიკის 9.5-მდე ზრდა დაფიქსირდა (საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის წყარო <https://www.geostat.ge/>), რაც გამოწვეულია ექსპორტისა და ტურიზმიდან მიღებული უფრო მაღალი შემოსავლებით და ძლიერი კერძო მოხმარებით. ასევე, ერთნიშნა ეკონომიკური ზრდა არის მოსალოდნელი 2025 წელს.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

b) ორგანიზაცია და ოპერაციები

სს „ბორჯომი ლიკანი ინტერნეიშენალი“ (კომპანია) წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობით 2011 წლის 1 ოქტომბერს და მისი საიდენტიფიკაციო ნომერია 404408547.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ბორჯომი, მესხეთის ქუჩა 16.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საქართველოში, ბორჯომში მდებარე „სასტუმრო ბორჯომი ლიკანი“-ს (შემდგომში „სასტუმრო“) ფლობა და მისი მუშაობის უზრუნველყოფა.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისთვის, კომპანიას სრულად ფლობს სს "საქართველოს განვითარების ფონდი".

კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა საქართველოს მთავრობა. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან განხილულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მე-15 შენიშვნაში.

2. აღრიცხვის საფუძველი შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან („ფასს აღრიცხვის სტანდარტები“) სრულ შესაბამისობაში.

3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას და ვალუტას, რომელშიც წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება. ყველა ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია ლარში, გარდა სხვაგვარად მითითებული შემთხვევებისა.

4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

ფასს აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობებზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზეც მათ ექნებათ გავლენა.

ინფორმაცია იმ სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებასთან დაკავშირებული კრიტიკული მსჯელობების შესახებ, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, განსაზღვრულია შემდეგ შენიშვნაში:

– **შენიშვნა 18 (f)(iv)** - ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

ინფორმაცია იმ დაშვებებსა და შეფასებებთან დაკავშირებული განუსაზღვრელობების შესახებ, რომლებიც მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში არსებითი ცვლილების გამოწვევის მნიშვნელოვან რისკს ატარებენ, მოცემულია შემდეგ შენიშვნაში:

– **შენიშვნა 9** – ძირითადი საშუალებების გადაფასება;

სამართლიანი ღირებულებების შეფასება

კომპანიის რამდენიმე სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტება მოითხოვს ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა შეფასებისა და განმარტების მიზნებისათვის.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, კომპანია შეძლებისდაგვარად იყენებს ბაზრის დაკვირვებად მონაცემებს.

სამართლიანი ღირებულება, შეფასების ტექნიკაში გამოყენებულ მონაცემებზე დაყრდნობით, იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის შემდეგ დონეებად:

- დონე 1: აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასები (დაუკორექტირებელი) იდენტური აქტივებისა ან ვალდებულებებისთვის.
- დონე 2: ამოსავალი მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებისთვის, გარდა კოტირებული ფასებისა, რომლებიც შეტანილია 1-ელ დონეში, და რომლებიც ემპირიულია პირდაპირ (მაგ. ფასები) ან არაპირდაპირ (მაგ. ფასებისგან წარმოებული).
- დონე 3: ამოსავალი მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არაემპირიული ამოსავალი მონაცემები).

თუ აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული ამოსავალი მონაცემების კატეგორიებად დაყოფა შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის ფარგლებში, მთლიანად სამართლიანი ღირებულების შეფასება სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეს მიეკუთვნება, რომელსაც მიეკუთვნება ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემები, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

კომპანია აღიარებს მოძრაობას სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეებს შორის იმ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რომლის დროსაც წარმოიშვა ცვლილება.

სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გაკეთებული დაშვებების შესახებ დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგ შენიშვნებში:

- **შენიშვნა 9** – ძირითადი საშუალებების გადაფასება;
- **შენიშვნა 13 (a)** – ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება.

5. შემოსავალი

‘000 ლარი	2024	2023
ოთახების გაქირავებიდან მიღებული შემოსავალი	7,951	7,517
საკვების და სასმელის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	5,955	5,507
სპა და ჯანმრთელობა	1,288	1,074
სხვა შემოსავალი	143	119
სულ შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	15,337	14,217

6. სხვა საოპერაციო ხარჯები

‘000 ლარი	2024	2023
კომუნალური ხარჯები	1,275	1,330
ტექნიკური მომსახურების ხარჯი	474	109
ქონების გადასახადი	407	273
დაჯავშნის საფასური	364	348
პროფესიული მომსახურების საფასური*	181	324
ბანკის საკომისიოები	170	150
საოფისე ხარჯი	157	113
სარეკლამო და მარკეტინგის ხარჯი	52	57
გართობის ხარჯი	34	61
სხვა ხარჯები	142	226
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	3,256	2,991

* პროფესიული მომსახურება მოიცავს აუდიტორული მომსახურების საფასურს 88 ათასი ლარის ოდენობით (2023: 26 ათასი ლარი).

7. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფულადი სახსრები სალაროში	2	1
ფულადი სახსრები ბანკში	8,282	6,433
ფულადი სახსრები გზაში	60	67
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	8,344	6,501

არცერთი ფულადი სახსრების ნაშთი არ არის გაუფასურებული ან ვადაგადაცილებული. ინფორმაცია კომპანიის საპროცენტო განაკვეთის, სავალუტო და საკრედიტო რისკებზე დაქვემდებარების შესახებ და მგრძნობელობის ანალიზი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის, წარმოდგენილია მე-13 შენიშვნაში.

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო მოთხოვნები	201	256
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(76)	(76)
სხვა მოთხოვნები	-	187
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	125	367

კომპანიის დამოკიდებულება საკრედიტო და სავალუტო რისკებზე და სავაჭრო მოთხოვნებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალები განხილულია მე-13 შენიშვნაში.

9. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა- ნაგებობები	სატრანსპორტო საშუალებები	ელექტრონული აღჭურვილობა და სხვა	ავიჯი და მოწყობილობები და საოფისე აღჭურვილობა	სულ
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის	43,396	273	2,060	13,069	58,798
შესყიდვები	70	-	179	636	885
გასვლები	-	(260)	-	-	(260)
2023 წლის 31 დეკემბერი	43,466	13	2,239	13,705	59,423
შემოსვლა	176	-	20	68	264
გასვლა	-	-	-	-	-
2024 წლის 31 დეკემბერი	43,642	13	2,259	13,773	59,687
დაგროვილი ცვეთა					
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის	-	-	(1,599)	(12,124)	(13,723)
წლის ცვეთა	(433)	(39)	(221)	(1,339)	(2,032)
გასვლები	-	37	-	-	37
2023 წლის 31 დეკემბერი	(433)	(2)	(1,820)	(13,463)	(15,718)
პერიოდის ცვეთა	(861)	(6)	(219)	(310)	(1,396)
გასვლა	-	-	-	-	-
2024 წლის 31 დეკემბერი	(1,294)	(8)	(2,039)	(13,773)	(17,114)
საბალანსო ღირებულება					
2023 წლის 31 დეკემბერი	43,033	11	419	242	43,705
2024 წლის 31 დეკემბერი	42,348	5	220	-	42,573

ა) უზრუნველყოფა

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ქონება საბალანსო ღირებულებით 42,353 ათასი ლარი (2023 წლის 31 დეკემბერი: 43,569 ათასი ლარი) დაგირავებულია სესხებსა და კრედიტებთან მიმართებაში (იხ. შენიშვნა 11).

10. კაპიტალი

ა) სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციების მფლობელები უფლებამოსილი არიან მიიღონ დროდადრო გამოცხადებული დივიდენდები და კომპანიის შეხვედრებზე აქვთ ხმის მიცემის უფლება - თითო ხმა თითო აქციაზე.

აქციების რაოდენობა	ჩვეულებრივი აქციები	
	2024	2023
გამოშვებული 1 იანვარს	30,593,306	30,593,306
გამოშვებული წლის განმავლობაში	-	-
გამოშვებული 31 დეკემბერს, სრულად გადახდილი	30,593,306	30,593,306
ავტორიზებული აქციები - ნომინალური ღირებულება (აშშ დოლარში)	1	1

b) დივიდენდები

2024 და 2023 წლებში, კომპანიას არ გამოუცხადებია და არ გადაუხდია დივიდენდები.

c) კაპიტალის რეზერვი

კაპიტალის რეზერვი წარმოდგენილია მშობელ კომპანიასთან წარმოებული ოპერაციებით, რომელთაც არ აქვთ გავლენა გამოშვებულ და სრულად გადახდილ სააქციო კაპიტალზე.

‘000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
საბაზროზე დაბალი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხის გავლენა	-	5,926
გრძელვადიანი აქტივების გატანა კაპიტალიდან	(9,711)	(9,711)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების გატანა კაპიტალიდან	(20,091)	(20,091)
	(29,802)	(23,876)

d) გადაფასების რეზერვი

გადაფასების ნამეტი ძირითადი საშუალებებისთვის მოიცავს ძირითადი საშუალებების კუმულაციურ დადებით გადაფასებულ ღირებულებას, მანამ სანამ აქტივების აღიარება არ შეწყდება ან არ გაუფასურდება.

e) კონტრიბუცია კაპიტალში

კომპანიას მშობელი კომპანიისგან მიღებული აქვს გრძელვადიანი სესხი. (იხ. შენიშვნა 11). სესხის პირობების მიხედვით სესხის ძირითად თანხაც და დარიცხული პროცენტიც სესხის ვადის ბოლოს უნდა დაიფაროს. განსხვავება სესხის ნომინალურ და სამართლიან ღირებულებას შორის (რომელიც 10.13%-იანი დისკონტირების განაკვეთით დათვლილი ფულადი ნაკადების საფუძველზე განისაზღვრება), აღიარებულ იქნა როგორც კონტრიბუცია კაპიტალში (კაპიტალის ელემენტი).

f) სხვა კაპიტალი

2024 წლის ივლისში, კომპანიამ და სს „საქართველოს განვითარების ფონდმა“ (მშობელი კომპანია) გააფორმეს სასესხო ხელშეკრულების ცვლილების დოკუმენტი, რის მიხედვითაც სესხის მოცულობა 17,692 ათასი აშშ დოლარის ოდენობით (49,715 ეკვივალენტი ლარი) გადატანილ იქნა კაპიტალში. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული ტრანზაქცია არ მოიცავდა საწესდებო კაპიტალის ცვლილებას, ეს მოძრაობა კაპიტალში აღრიცხულია სხვა კაპიტალის მუხლად.

11. სესხები და კრედიტები

მოცემულ შენიშვნაში წარმოდგენილია ინფორმაცია კომპანიის პროცენტის სესხებისა და კრედიტების სახელშეკრულებო პირობების შესახებ, რომლებიც ამორტიზებული ღირებულებით ფასდება. დამატებითი ინფორმაცია კომპანიის საპროცენტო, სავალუტო და საკრედიტო რისკებზე დაქვემდებარების შესახებ წარმოდგენილია მე-13 შენიშვნაში.

‘000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გრძელვადიანი ვალდებულებები		
უზრუნველყოფილი დაკავშირებული მხარის სესხი	32,357	91,947
უზრუნველყოფილი სესხი კომერციული ბანკისგან	8,507	9,420
	40,864	101,367
მოკლევადიანი ვალდებულებები		
უზრუნველყოფილი სესხი კომერციული ბანკისგან	786	758
	786	758

a) სესხის ვადა და დაფარვის გრაფიკი

დაუფარავი სესხების დაფარვის ვადა და პირობები იყო შემდეგი:

000 ლარი		31 დეკემბერი 2024				31 დეკემბერი 2023	
	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
უზრუნველყოფილი დაკავშირებული მხარის სესხი	აშშ დოლარი	9.19%	2034	32,357	32,357	92,007	91,947
უზრუნველყოფილი სესხი კომერციული ბანკისგან	ევრო	5.3%	2039	9,293	9,293	10,178	10,178
				41,650	41,650	102,185	102,125

უზრუნველყოფილი დაკავშირებული მხარის სესხი გადასახდელია მშობელ კომპანიაზე, სს „საქართველოს განვითარების ფონდზე“ და ექვემდებარება კომერციული ბანკისგან აღებულ სესხს.

b) საფინანსო საქმიანობების შედეგად წარმოშობილი ცვლილებები ვალდებულებებში

000 ლარი	2024	2023
ნაშთი 1 იანვარს	102,125	90,436
სესხების დაფარვა	(3,733)	(673)
გადახდილი პროცენტი	(515)	(533)
სულ ცვლილებები საფინანსო ფულადი ნაკადებიდან	(4,248)	(1,206)
უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილებების გავლენა	4,052	207
სესხის კაპიტალში გადატანა	(49,715)	-
წლის განმავლობაში აღიარებული საპროცენტო ხარჯი	11,276	12,688
სხვაობა რეალურ და საბალანსო ღირებულებას შორის	(21,840)	-
ნაშთი 31 დეკემბერს	41,650	102,125

c) სესხის სამართლიანი ღირებულება

კომპანიას მშობელი კომპანიისგან მიღებული აქვს გრძელვადიანი სესხი. სესხის პირობების მიხედვით სესხის ძირითად თანხაც და დარიცხული პროცენტიც სესხის ვადის ბოლოს უნდა დაიფაროს. განსხვავება სესხის ნომინალურ და სამართლიან ღირებულებას შორის (რომელიც 10.13%-იანი დისკონტირების განაკვეთით დათვლილი ფულადი ნაკადების საფუძველზე განისაზღვრა), აღიარებულ იქნა როგორც კონტრიბუცია კაპიტალში (იხ. შენიშვნა 10) (კაპიტალის ელემენტი).

d) სესხის გადატანა კაპიტალში

2024 წლის ივლისში, კომპანიამ და სს „საქართველოს განვითარების ფონდმა“ (მშობელი კომპანია) გააფორმეს სასესხო ხელშეკრულების ცვლილების დოკუმენტი, რის მიხედვითაც სესხის მოცულობა 17,692 ათასი აშშ დოლარის ოდენობით (49,715 ექვივალენტი ლარი) გადატანილ იქნა კაპიტალში. აღნიშნული მოძრაობა კაპიტალში აღრიცხულია სხვა კაპიტალის მუხლად.

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო ვალდებულებები	718	690
მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები	547	486
სხვა ვალდებულებები	218	282
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,483	1,458

13. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა

a) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის დადებულ სტანდარტულ ოპერაციაში აქტივის გაყიდვიდან მიღებული ან ვალდებულების გადაცემისთვის გადახდილი ფასის მიახლოება. თუმცა განუსაზღვრელობის გათვალისწინებით და სუბიექტური მსჯელობის გამოყენებით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იქნას ინტერპრეტირებული როგორც რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებლივ გაყიდვაში ან ვალდებულებების გადაცემაში.

კომპანიამ განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება შეფასების ტექნიკების გამოყენებით. შეფასების ტექნიკის მიზანს წარმოადგენს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს შეფასების თარიღისთვის, ბაზრის მონაწილეებს შორის დადებულ სტანდარტულ ოპერაციაში აქტივის გაყიდვიდან მიღებულ ან ვალდებულების გადაცემისთვის გადახდილ ფასს. გამოყენებული შეფასების ტექნიკა წარმოადგენს დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელს. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ანგარიშდება მომავალი ძირი თანხისა და საპროცენტო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, რომელიც დისკონტირდება საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები, უზრუნველყოფილი დაკავშირებული მხარის სესხის გარდა (იხ. შენიშვნა 11(a)), მათ საბალანსო ღირებულებას არის მიახლოებული.

b) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად კომპანია შემდეგი რისკების წინაშე დგას:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი.
- სავალუტო რისკი

i) რისკის მართვის სტრუქტურა

ხელმძღვანელობას აკისრია სრული პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის სტრუქტურის დანერგვასა და ზედამხედველობაზე; ის პასუხს აგებს კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკების შემუშავებასა და მონიტორინგზე და ამ საქმიანობასთან დაკავშირებით რეგულარულად წარუდგენს ანგარიშს აქციონერებს.

კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკები განისაზღვრება მის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, შესაბამისი რისკების საზღვრებისა და საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისთვის და რისკებისა და საზღვრების დაცვის მონიტორინგისთვის. რისკების მართვის პოლიტიკები და სისტემები რეგულარულად გადაიხედება ბაზრის პირობებისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების ასახვის მიზნით. სასწავლო და მართვის სტანდარტების და პროცედურების გამოყენებით კომპანიის მიზანს წარმოადგენს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემოს შექმნა, რომელშიც ყველა თანამშრომელს გააზრებული ექნება თავისი ფუნქცია და ვალდებულება.

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
აქციონერები ზედამხედველობას უწევენ, თუ რამდენად აკონტროლებს ხელმძღვანელობა კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკებთან და პროცედურებთან შესაბამისობას და განიხილავენ რისკების მართვის ჩარჩოების ადეკვატურობას იმ რისკებთან მიმართებაში, რომლის წინაშეც დგას კომპანია.

ii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური ზარალის რისკს, თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაგენტი ვერ დააკმაყოფილებს მის სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ამგვარი რისკი წარმოიშობა ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტებიდან და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება მაქსიმალურ საკრედიტო რისკს წარმოადგენს.

საკრედიტო რისკზე დაქვემდებარება

'000 ლარი	მენიშვნა	საბალანსო ღირებულება	
		31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	125	367
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	8,342	6,500
		8,467	6,867

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

კომპანია მისი ფულადი სახსრების უმეტესობას ფლობს ერთ ქართულ ბანკში, რომელსაც ფიტჩის სარეიტინგო სააგენტოს მიერ მინიჭებული აქვს მოკლევადიანი დეფოლტ რეიტინგი BB. ნაშთები განთავსებულია 1-ელ დონეზე და არ არის ვადაგადაცილებული. კომპანია არ მოელის, რომ რომელიმე კონტრაგენტი ვერ შეძლებს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილებას.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის საკრედიტო რისკი ძირითადად განპირობებულია თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლებით. თუმცა, ხელმძღვანელობა ასევე ითვალისწინებს ფაქტორებს, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიონ კომპანიის მომხმარებელთა ბაზის საკრედიტო რისკზე, მათ შორის იმ ქვეყნის და ინდუსტრიის დეფოლტის რისკი, რომელშიც ოპერირებენ მომხმარებლები.

საკრედიტო რისკი იმართება კლიენტებისგან ავანსების მოთხოვნის გზით ან კრედიტის გაცემამდე მათი კრედიტუნარიანობის შეფასების გზით, ასევე მოთხოვნების ნაშთების ყოველთვიური მონიტორინგის საშუალებით და ვალის დაუყოვნებელი გადახდის მოთხოვნით, როდესაც ნაშთი თითოეული ინდივიდუალური კონტრაგენტისთვის დაწესებულ, გარკვეულ ზღვარს უახლოვდება. როგორც წესი, სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში უზრუნველყოფა არ მოითხოვება.

კომპანია ადგენს გაუფასურების რეზერვს, რაც წარმოადგენს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მისეულ შეფასებას სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში.

2024 წლის 31 დეკემბრისთვის და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანია არ ექვემდებარება სავაჭრო მოთხოვნებთან დაკავშირებულ არსებით საკრედიტო რისკს.

i) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია სირთულეებს შეხვდება იმ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებაში, რომლებიც დაკმაყოფილებულია ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდების გზით. კომპანიის მიდგომა ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით მოიცავს, შეძლებისდაგვარად იმის უზრუნველყოფას, რომ მას ყოველთვის ჰქონდეს სათანადო ლიკვიდურობა მისი ვალდებულებების დროულად შესასრულებლად, როგორც ნორმალურ, ისე - სტრესულ ვითარებაში, მიუღებელი ზარალის გაწევის ან კომპანიის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
კომპანია უზრუნველყოფს საკმარისი ოდენობით ხელმისაწვდომ ფულად სახსრებს საკუთარი ფინანსური ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად, რომლებიც წარმოიშება ყოველდღიური ოპერაციებით ან ზოგიერთი გაუთვალისწინებელი ვითარების გამო. ეს გამორიცხავს ექსტრემალური ვითარებების პოტენციურ გავლენას, რომელთა გონივრულად წინასწარმეტყველება არის შეუძლებელი, როგორც არის სტიქიური უბედურებები.

ლიკვიდურობის რისკზე დაქვემდებარება

ქვემოთ წარმოდგენილია ფინანსური ვალდებულებების სახელშეკრულებო დაფარვის ვადები, რაც მოიცავს სავარაუდო საპროცენტო გადახდებს და გამორიცხავს ურთიერთგადაფარვის ხელშეკრულებების გავლენას. არ არის მოსალოდნელი, რომ დაფარვის ვადების ანალიზში შესულ ფულად ნაკადებს ადგილი ექნებათ არსებითად ადრე, ან არსებითად განსხვავებული ოდენობებით.

31 დეკემბერი 2024

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	0-12 თვემდე	1-5 წლამდე	5 წელზე
სესხები და კრედიტები	41,650	192,526	1,246	4,982	186,298
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	936	936	936	-	-
	42,586	75,154	1,361	1,700	72,093

31 დეკემბერი 2023

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	0-12 თვემდე	1-5 წლამდე	5 წელზე
სესხები და კრედიტები	102,125	449,029	1,264	5,057	442,708
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	972	972	972	-	-
	103,097	450,001	2,236	5,057	442,708

ii) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი, რომ საბაზრო ფასების ისეთი ცვლილება, როგორც არის ვალუტის გაცვლითი კურსები, საპროცენტო განაკვეთები და აქციის ფასები იმოქმედებს კომპანიის შემოსავალზე ან მისი ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის ღირებულებაზე. საბაზრო რისკის მართვის მიზანს წარმოადგენს საბაზრო რისკებზე დამოკიდებულების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის პროცესში.

სავალუტო რისკი

კომპანია ექვემდებარება ლარის გარდა სხვა ვალუტაში დენომინირებულ სესხებთან და კრედიტებთან, ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებთან და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებულ სავალუტო რისკს. ვალუტები, რომლებშიც ძირითადად დენომინირებულია ეს ოპერაციები არის აშშ დოლარი და ევრო.

სავალუტო რისკზე დაქვემდებარება

კომპანიის დაქვემდებარება უცხოურ სავალუტო რისკზე იყო შემდეგი:

'000 ლარი	აშშ დოლარში	ევროში	აშშ დოლარში	ევროში
	დენომინირებული	დენომინირებული	დენომინირებული	დენომინირებული
	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2023
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	493	2	186	-
სესხები და კრედიტები	32,357	9,293	(91,947)	(10,178)
წმინდა დაქვემდებარება	32,850	9,295	(91,761)	(10,178)

წლის განმავლობაში გამოიყენებოდა შემდეგი მნიშვნელოვანი გაცვლითი კურსები:

	საშუალო კურსი		არსებული სპოტ-კურსი	
	2024	2023	2024	2023
1 აშშ დოლარი	2.7208	2.6279	2.8068	2.6894
1 ევრო	2.9440	2.8416	2.9306	2.9753

მგრძნობელობის ანალიზი

ლარის კურსის გონივრული შესაძლო გამყარება (შესუსტება), ქვემოთ მითითებულის შესაბამისად, აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებაში 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, იმოქმედებდა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და ასევე იმოქმედებდა მოგებაზე ან ზარალზე, ქვემოთ წარმოდგენილი ოდენობებით, შესაბამისად. ანალიზი გაკეთდა იმ დაშვების საფუძველზე, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ საპროცენტო განაკვეთები, უცვლელი დარჩება.

	2024	2023
'000 ლარი		
აშშ დოლარის 10%-იანი აფასება ლართან მიმართებაში	(3,285)	(9,176)
ევროს 10%-იანი აფასება ლართან მიმართებაში	(930)	(1,017)

აშშ დოლართან მიმართებაში ლარის გაუფასურებას 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ექნებოდა იგივე ოდენობის, მაგრამ საპირისპირო გავლენა ზემოაღნიშნულ ვალუტებზე, ზემოთ წარმოდგენილ თანხებთან მიმართებაში, იმ პირობით, რომ ყველა სხვა ცვლადი მუდმივი დარჩებოდა.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვლილება, უპირველეს ყოვლისა, გავლენას ახდენს სესხებსა და კრედიტებზე, სესხის სამართლიანი ღირებულების ცვლილების (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან მომავალი ფულადი ნაკადების (სესხი ცვლადი განაკვეთით) ცვლილების გზით. ხელმძღვანელობას არ აქვს ფორმალური პოლიტიკა იმის განსაზღვრად, თუ რამდენად უნდა იყოს კომპანია დამოკიდებული ფიქსირებულ ან ცვლად განაკვეთებზე. თუმცა, ახალი სესხების და კრედიტების აღების დროს გადაწყვეტილების მიღებისას მართვის გუნდი ხელმძღვანელობს საკუთარი მსჯელობით სესხის მოსალოდნელი სარგებლობის პერიოდის დასრულებამდე რომელი საპროცენტო განაკვეთი უფრო მომგებიანი იქნება კომპანიისთვის - ფიქსირებული თუ ცვლადი.

საანგარიშგებო თარიღისთვის, კომპანია არსებითად არ ექვემდებარება მის მიერ სესხებისა და კრედიტების გამოყენებასთან დაკავშირებულ საპროცენტო განაკვეთის რისკს, რადგან აღნიშნული სესხები და კრედიტები ფიქსირებულ განაკვეთიანია.

14. პირობითი ვალდებულებები

ა) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ცვლილებები, რომლებიც ზოგჯერ ბუნდოვანი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისაგან განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. საგადასახადო წელი დია რჩება საგადასახადო უწყებების მიერ განსახილველად, სამი თანმიმდევრული კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, კონკრეტულ ვითარებებში საგადასახადო წელი შესაძლოა უფრო დიდი ხნით დარჩეს დია.

ეს ვითარება ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც, სხვა უფრო განვითარებული საგადასახადო სისტემების მქონე ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით უფრო საგრძნობია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურია მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციისა. თუმცა, საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს კომპანიის ინტერპრეტაციისაგან და თუ საგადასახადო ორგანომ შეძლო საკუთარი ინტერპრეტირების არგუმენტირება, მაშინ აღნიშნულმა გარემოებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

b) სასამართლო დავა

საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, კომპანია დაქვემდებარებულია სარჩელებსა და საჩივრებს. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მოცემული სარჩელებიდან და საჩივრებიდან წარმოშობილ საბოლოო ვალდებულებას, ასეთის არსებობის შემთხვევაში, არ ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა კომპანიის მომავალი ოპერაციების შედეგებზე ან ფინანსურ მდგომარეობაზე.

15. დაკავშირებული მხარეები

a) მშობელი კომპანია და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისთვის, კომპანიის პირდაპირი მშობელი კომპანია არის სს „საქართველოს განვითარების ფონდი“. კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა საქართველოს მთავრობა.

b) ოპერაციები უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობამ წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შეტანილია ხელფასებსა და გასამრჯელოებში:

’000 ლარი	2024	2023
ხელფასები და ბონუსები	195	222

c) ოპერაციები მთავრობასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებთან

კომპანია ყოველდღიურ საქმიანობებს აწარმოებს მთელ რიგ ორგანიზაციებთან, რომლებიც კონტროლდება/ერთობლივად კონტროლდება ან არის საქართველოს მთავრობის მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ. „კომპანიამ“ მიიღო ბასს 24-ის (დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები) გათავისუფლების გამოყენების გადაწყვეტილება, რომელიც სამთავრობო უწყებებთან განხორციელებულ ოპერაციებთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების შემცირებული სახით წარდგენის საშუალებას იძლევა.

მნიშვნელოვანი ოპერაციები საქართველოს მთავრობის კონტროლის ან მისი მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ მყოფ საწარმოებთან და ამგვარი ოპერაციების ნაშთები განხილულია ქვემოთ. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ყველა სხვა შემოსავლისა და ხარჯების აგრეგირებული ოდენობები და მთავრობასთან დაკავშირებული საწარმოების დაკავშირებული ნაშთები საანგარიშგებო თარიღებისთვის არ არის არსებითი.

d) სხვა ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და დაუფარავი ნაშთები

000 ლარი	გარიგების ღირებულება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის		დაუფარავი ნაშთი 31 დეკემბრის	
	2024	2023	2024	2023
სესხები და კრედიტები:				
მშობელი კომპანია	-	-	32,357	91.947
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები:				
მშობელი კომპანია	96	60	7	16

2024 წლის განმავლობაში, 10,763 ათასი ლარის ოდენობით საპროცენტო ხარჯი (2023: 12,157 ათასი ლარი) აღიარებულ იქნა მოგებაში ან ზარალში დაკავშირებული მხარისგან აღებულ სესხებსა და კრედიტებთან მიმართებაში. საპროცენტო განაკვეთი და დაკავშირებული მხარეებისგან სესხები და კრედიტების დაფარვის ვადები წარმოდგენილია მე-11 შენიშვნაში.

ყველა დაუფარავი ნაშთი დაკავშირებული მხარეების მიმართ, გარდა სასესხო ვალდებულებებისა, არის უპროცენტო და უნდა დაფარულ იქნას ფულადი სახსრებით საანგარიშგებო თარიღიდან 1 წლის განმავლობაში. გარდა სასესხო ვალდებულებებისა, არცერთი დაკავშირებული მხარის ნაშთი არ არის უზრუნველყოფილი.

16. შემდგომი მოვლენები

2025 წლის მაისში, კომპანიამ და სს „საქართველოს განვითარების ფონდს“ სახელშეკრულებო პირობით შეთანხმებულ ვადაზე ადრე გადაუხადა სასესხო ვალდებულებების ძირითადი თანხის ნაწილი 3,000,000 ლარი. გარდა ზემოაღნიშნული მოვლენისა, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონდა სხვა მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

კომპანიამ მოსარჩელის სასარგებლოდ დასრულებული სასამართლო დავის ფარგლებში 2025 წელს აღიარა და 2025 წელსვე დაფარა 86,206 ლარის ვალდებულება.

17. შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე, გარდა ძირითადი საშუალებებისა, რომელთა აღრიცხვაც ხდება გადაფასებული ღირებულებით.

18. არსებითი ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ

ქვემოთ განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში.

ამასთანავე, 2023 წლის 1 იანვრიდან კომპანიამ მიიღო „სააღრიცხვო პოლიტიკების განმარტებითი შენიშვნები“ (ბასს 1-ის და ფასს სტანდარტების პრაქტიკის დებულება 2-ის კორექტირებები). კორექტირებები მოითხოვს „არსებითი“ და არა „მნიშვნელოვანი“ სააღრიცხვო პოლიტიკების წარდგენას. კორექტირებებს არ მოჰყოლია ცვლილებები 18 (a-k) შენიშვნაში მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში.

c) შემოსავალი

შემოსავალი ფასდება კლიენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებული ანაზღაურების მიხედვით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც ის გადასცემს მომხმარებელს კონტროლს საქონელზე ან მომსახურებაზე.

სასტუმროს ოთახების გაქირავებიდან მიღებული შემოსავალი - შემოსავალი აღიარდება დროის განმავლობაში მომსახურების გაწევასთან ერთად. ასაღიარებელი შემოსავლის დასადგენად დასრულების ეტაპი ფასდება სტუმრების მიერ სასტუმროში გატარებული სრული ღამეების რაოდენობის მიხედვით.

საკვების და სასმელის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი - შემოსავალი აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, როდესაც მომხმარებელი ჩაიბარებს საქონელს. კომპანია შემოსავალს აღიარებს მაშინ, როდესაც ის გადასცემს კონტროლს დროის გარკვეულ მომენტში - საქონლის გაყიდვის შემთხვევაში, და გარკვეული დროის განმავლობაში - მომსახურების გაწევის შემთხვევაში, თუმცა მომსახურება დროის არა-არსებითად მოკლე პერიოდში არის გაწეული. შემოსავალი აღიარდება სახელშეკრულებო ანაზღაურების მიხედვით, კლიენტებზე დარიცხული დღგ-ს გამოკლებით.

სპა და ჯანმრთელობა - შემოსავალი აღიარდება დროის განმავლობაში მომსახურების გაწევასთან ერთად. ასაღიარებელი შემოსავლის ოდენობის განსაზღვრისთვის დასრულების ეტაპი ფასდება დასრულებული სამუშაოების მიხედვით, თუმცა მომსახურება დროის არა-არსებითად მოკლე პერიოდში არის გაწეული. შემოსავალი აღიარდება სახელშეკრულებო ანაზღაურების მიხედვით, კლიენტებზე დარიცხული დღგ-ს გამოკლებით.

სხვა შემოსავალი - შემოსავალი აღიარდება დროის განმავლობაში, მომსახურების გაწევასთან ერთად. ასაღიარებელი შემოსავლის ოდენობის განსაზღვრისთვის დასრულების ეტაპი ფასდება დასრულებული სამუშაოების მიხედვით, თუმცა მომსახურება დროის არა-არსებითად მოკლე პერიოდში არის გაწეული. შემოსავალი აღიარდება სახელშეკრულებო ანაზღაურების მიხედვით, კლიენტებზე დარიცხული დღგ-ს გამოკლებით.

d) ფინანსური ხარჯები

კომპანიის ფინანსური ხარჯები მოიცავს:

- საპროცენტო ხარჯს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებზე;
- სავალუტო შემოსულობას ან ზარალს ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე; და
- საპროცენტო შემოსავალი მიმდინარე ანგარიშებზე და საბანკო დეპოზიტებზე;

საპროცენტო შემოსავლების და ხარჯების გაანგარიშებისას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოიყენება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე (როდესაც აქტივი არ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული) ან ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებაზე. თუმცა, ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც გაუფასურებულია საკრედიტო რისკით, მათი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საპროცენტო შემოსავალი ანგარიშდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებაზე გამოყენებით. თუ აქტივი აღარ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული, მაშინ საპროცენტო შემოსავლის გამოთვლა უბრუნდება მთლიან საბალანსო ღირებულებაზე დათვლის მეთოდს.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ არ უკავშირდება განსაკუთრებული აქტივების შესყიდვას, მშენებლობას ან წარმოებას, აღიარებულია მოგებასა ან ზარალში ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი აღირიცხება წმინდა საფუძველზე, იმის გათვალისწინებით თუ სად აქვს ადგილი უცხოური ვალუტის მოძრაობას - წმინდა ამონაგების თუ წმინდა ზარალის პოზიციაში.

e) უცხოური ვალუტა

i) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ოპერაციების თარიღის შესაბამისი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება კომპანიის სამუშაო ვალუტაში ხდება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი ფულად მუხლებზე წარმოადგენს სხვაობას პერიოდის დასაწყისში არსებულ სამუშაო ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებას (კორექტირებული ეფექტური პროცენტით და გადახდებით პერიოდის განმავლობაში) და უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებას შორის, რომელიც კონვერტირებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულების საფუძველზე ფასდება, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების დადგენის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი ერთეულები, რომლებიც ფასდება პირვანდელი ღირებულებით, კონვერტირდება გარიგების თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული სხვაობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

f) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადს. მოგების გადასახადი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა შემთხვევებისა, როდესაც ის უკავშირდება საწარმოთა გაერთიანებას, ან პირდაპირ კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ ერთეულებს.

g) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების ან ზარალის საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება ან მოთხოვნა, იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია ან არსებითად ამოქმედებულია საანგარიშგებო თარიღისათვის, აგრეთვე, წინა წლების საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერი კორექტირება. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება აგრეთვე მოიცავს დივიდენდებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს და გამოიყენება საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორიც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში უნდა შესულიყო 2023 წლის 1 იანვრიდან. 2022 წელს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ცვლილებები საფინანსო დაწესებულებებისთვის საქართველოში არსებულ მოგების გადასახადის მოდელში, რომელიც 2023 წლიდან მოქმედებს. კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, საფინანსო დაწესებულებების ნაწილი ესტონურ საგადასახადო მოდელზე აღარ გადავა.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან (CIT) გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას, როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა მოგების განაწილებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის. ამასთან საგადასახადო ობიექტი მოიცავს ხარჯებსა და სხვა გადახდებს, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებები და ზღვრულ მოცულობაზე მეტი წარმომადგენლობითი ხარჯები.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად გადახდის ფაქტობრივი თარიღისა ან იმ პერიოდისა, რომლისთვისაც გადაიხდება დივიდენდები. საგადასახადო ვალდებულების თანხა დივიდენდების განაწილებაზე გამოითვლება როგორც წმინდა განაწილების თანხის 15/85-ი.

გამოცხადებულ და გადახდილ დივიდენდებზე საგადასახადო ვალდებულების ურთიერთგადაფარვა ხელმისაწვდომია 2008-2016 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე გადახდილ მოგების გადასახადზე, თუ ასეთი მოგება განაწილება 2017 ან შემდეგ წლებში.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს მოგების გადასახადის იმ კონკრეტულ ოპერაციებზე დარიცხვას, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებები და ზღვრულ მოცულობაზე მეტი წარმომადგენლობითი ხარჯები. კომპანია ამგვარი ოპერაციის დაბეგვრას არ განიხილავს ბასს 12-ის (მოგების გადასახადები) ფარგლებში და გადასახადს ამგვარ ერთეულებზე აღრიცხავს როგორც გადასახადებს, მოგების გადასახადის გარდა.

i) გადავადებული გადასახადი

ზემოთ აღწერილი ახალი საგადასახადო სისტემის ხასიათიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებული საწარმოები არ განასხვავებენ აქტივების საგადასახადო ბაზებს და მათ საბალანსო ღირებულებებს და შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ წარმოიშობა.

წინა პერიოდებში დარიცხული საგადასახადო ზარალები არ გამოიყენება მომავალ დაბეგვრად მოგებებთან მიმართებაში.

h) მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება გამოიანგარიშება საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპის საფუძველზე და მოიცავს დანახარჯებს მარაგების შეძენაზე, წარმოებასა და გადამუშავებაზე და პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომლებიც აუცილებელია მარაგების მოცემულ აღგილსა და მოცემულ მდგომარეობაში მოსაყვანად.

საქმიანობის ჩვეულებრივად მიმდინარეობის პირობებში, წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს მოსალოდნელ სარეალიზაციო ღირებულებას, გამოკლებული სავარაუდო დასრულების და გაყიდვის ხარჯები.

i) ძირითადი საშუალებები

i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების ერთეულები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივის თვითღირებულება შედგება მასალების, პირდაპირი შრომითი და ნებისმიერი პირდაპირი დანახარჯებისგან, რომელიც საჭიროა აქტივის დანიშნულებისამებრ მუშა მდგომარეობაში მოსაყვანად, აგრეთვე აქტივის დემონტაჟის, მოცილების და გამწმენდი სამუშაოების ჩატარების ღირებულებას.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებები, კონკრეტულად, მიწები, შენობები და სატრანსპორტო საშუალებები აღირიცხება გადაფასებული ღირებულებით, რომელიც წარმოადგენს გადაფასების თარიღისთვის არსებულ სამართლიან ღირებულებას გამოკლებული ნებისმიერი შემდგომი დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებები, კონკრეტულად ელექტრონული აღჭურვილობა, ავეჯი, საოფისე ინვენტარი და სხვა ფასდება თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალი. თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს.

გადაფასება ხდება სათანადო სიხშირით იმის უზრუნველსაყოფად, რომ საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს იმ ღირებულებისგან, რომელიც განისაზღვრებოდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არსებული სამართლიანი ღირებულების გამოყენებით.

როდესაც ძირითადი საშუალების ნაწილებს განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, ისინი აღირიცხებიან ძირითადი საშუალების ცალკე ერთეულების სახით (ძირითადი კომპონენტები).

ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებსა და ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აისახება წმინდად მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში როგორც სხვა შემოსავლები ან სხვა ხარჯები.

ზემოაღნიშნულ ძირითად საშუალებებზე გადაფასების ზრდა აღიარდება პირდაპირ სხვა სრულ შემოსავალში წარმოდგენილი გადაფასების ნამეტის სახით. თუმცა, ზრდა აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ის აღადგენს იგივე აქტივის გადაფასების შემცირებას, რომელიც ადრე მოგებაში ან ზარალში იყო აღიარებული.

გადაფასების კლება ზემოაღნიშნულ ძირითად საშუალებებზე მოგებაში ან ზარალში აღიარდება. თუმცა, კლება აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში, იმ ოდენობით რამდენითაც არსებობს რაიმე საკრედიტო ნაშთი გადაფასების ზედმეტობაში.

როდესაც ქონების გამოყენება იცვლება მესაკუთრის მიერ ფლობილიდან საინვესტიციო ქონებად, ქონება გადაფასებულია სამართლიანი ღირებულებით და შესაბამისად არის რეკლასიფიცირებული. აღნიშნული გადაფასების შედეგად წარმოქმნილი ნებისმიერი შემოსულობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ის აღადგენს ადრე არსებულ გაუფასურების ზარალს კონკრეტულ ქონებაზე, ხოლო ნებისმიერი ნარჩენი შემოსულობა აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და წარმოდგენილია გადაფასების რეზერვში. ნებისმიერი ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ii) შემდგომი დანახარჯები

შემდგომი დანახარჯები კაპიტალიზდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ არსებობს ალბათობა იმისა, რომ დანახარჯთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოედინება.

ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

iii) მიწის, შენობების და სატრანსპორტო საშუალებების გადაფასება

მიწები, შენობები და სატრანსპორტო საშუალებები სამართლიანი ღირებულებით ფასდება, გარე დამოუკიდებელი შემფასებლების მიერ ჩატარებული პერიოდული შეფასების საფუძველზე. მიწის და შენობების გადაფასების ზრდა აღიარდება პირდაპირ გადაფასების ნამეტის ფარგლებში, სხვა სრულ შემოსავალში. თუმცა, ზრდა აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ის აღადგენს იგივე აქტივის გადაფასების შემცირებას, რომელიც ადრე მოგებაში ან ზარალში იყო აღიარებული.

გადაფასების შემცირება მიწაზე, შენობებზე და სატრანსპორტო საშუალებებზე აღიარდება მოგებაში ან ზარალში. თუმცა, კლება აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში, იმ ოდენობით რამდენითაც არსებობს რაიმე საკრედიტო ნაშთი გადაფასების ზედმეტობაში.

iv) ცვეთა

ძირითადი საშუალებების ერთეულები ექვემდებარებიან ცვეთის დარიცხვას მათი დამონტაჟებისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან, ან კომპანიის შიდა ძალებით დამზადებულ აქტივთან მიმართებაში, მათი დასრულების და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის თარიღიდან. ცვეთა ანგარიშდება აქტივის თვითღირებულებიდან, რომელსაც გამოკლებული აქვს მისი სავარაუდო ნარჩენი ღირებულება.

ცვეთა, როგორც წესი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული, მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოსალოდნელ ნიმუშს.

მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებების (გარდა მიწისა) სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები მიმდინარე და შესადარის პერიოდებში, არის შემდეგი:

– შენობა-ნაგებობები	50 წელი;
– სატრანსპორტო საშუალებები	10 წელი;
– ელექტრონული აღჭურვილობა და სხვა	5-10 წელი;
– ავეჯი, მოწყობილობები და საოფისე აღჭურვილობა	3-10 წელი;

ცვეთის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაიხედება და, შესაბამის შემთხვევაში კორექტირდება.

v) ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

განსაკუთრებული აქტივის შეძენაზე, მშენებლობასა ან წარმოებაზე პირდაპირ მიკუთვნებადი სასესხო ხარჯები, კაპიტალიზირდება შესაბამის განსაკუთრებულ აქტივზე, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით, გარდა შემთხვევებისა, როდესაც განსაკუთრებული აქტივი ფასდება სამართლიანი ღირებულებით.

vi) საინვესტიციო ქონების რეკლასიფიკაცია

როდესაც ქონების გამოყენება იცვლება მესაკუთრის მიერ ფლობილიდან საინვესტიციო ქონებად, ქონება გადაფასებულია სამართლიანი ღირებულებით და შესაბამისად არის რეკლასიფიცირებული. აღნიშნული გადაფასების შედეგად წარმოქმნილი ნებისმიერი შემოსულობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ის აღადგენს ადრე არსებულ გაუფასურების ზარალს კონკრეტულ ქონებაზე, ხოლო ნებისმიერი ნარჩენი შემოსულობა აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და წარმოდგენილია გადაფასების რეზერვში. ნებისმიერი ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

j) ფინანსური ინსტრუმენტები

i) აღიარება და თავდაპირველი შეფასება

სავაჭრო მოთხოვნები და გამოშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდები თავდაპირველად აღიარდება წარმოშობის მომენტი. ყველა სხვა ფინანსური აქტივის და ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხორციელდება გარიგების თარიღისთვის, როდესაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის ხელშემკვერი მხარე.

ფინანსური აქტივი (თუ ის არ არის სავაჭრო მოთხოვნა არსებითი საფინანსო კომპონენტის გარეშე) ან ფინანსური ვალდებულება, თავდაპირველად შეფასებულია სამართლიან ღირებულებას დამატებული (არა სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ერთეულისთვის) მის შეძენასთან ან გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული გარიგების ხარჯები. სავაჭრო მოთხოვნა მნიშვნელოვანი საფინანსო კომპონენტის გარეშე თავდაპირველად ფასდება გარიგების ფასით.

ii) კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება ისევე, როგორც ფასდება: ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ინვესტიციები სავალსე ინსტრუმენტებში; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში; ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები არ ექვემდებარება რეკლასიფიკაციას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კომპანია ცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელს, რა შემთხვევაშიც ყველა ჩართული ფინანსური აქტივი რეკლასიფიცირებულია ბიზნეს მოდელის ცვლილების შემდგომ პირველი საანგარიშგებო პერიოდის პირველივე დღეს.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოყვანილ ორივე პირობას და არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს, რომლის მიზანიც არის აქტივების შენახვა სახელმშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად; და
- მისი სახელმშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც მხოლოდ ძირითადი თანხისა და დაუფარავ ძირითადი თანხაზე დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

ინვესტიცია სავალდებულო ინსტრუმენტებში ფასდება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ ორივე პირობას და არ არის გამიზნული, როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს, რომლის მიზანიც არის სახელმეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება და ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- მისი სახელმეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც მხოლოდ ძირითადი თანხისა და დაუფარავ ძირითადზე დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციების, რომლებიც არ არის გამიზნული ვაჭრობისთვის, თავდაპირველი აღიარებისას ჯგუფს აქვს შეუქცევადი არჩევანის უფლება, სხვა სრულ შემოსავალში ასახოს ინვესტიციის სამართლიანი ღირებულებაში განხორციელებული შემდგომი ცვლილებები. ეს არჩევანი კეთდება კონკრეტული ინვესტიციების მიხედვით.

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ კლასიფიცირდება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები კლასიფიცირდება ისევე როგორც ფასდება, ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულებები - კლასიფიკაცია, შემდგომი შეფასება და შემოსულობა და ზარალი

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება ისევე როგორც ფასდება - ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით თუ ის კლასიფიცირდება როგორც სავაჭრო ფლობილი, წარმოებული ან გამიზნულია ესეთად თავდაპირველი აღიარებისას. სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები ფასდება სამართლიანი ღირებულებით და წმინდა შემოსულობით და ზარალით, ნებისმიერი საპროცენტო ხარჯის ჩათვლით, და აღიარდება მოგებაში ან ზარალში. სხვა ფინანსური ვალდებულებები შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი და საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობები და ზარალები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი ასევე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

i) ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების მოდიფიცირება

ფინანსური აქტივები

თუ ფინანსური აქტივის პირობები მოდიფიცირებულია, კომპანიამ უნდა შეაფასოს არსებითად იცვლება თუ არა მოდიფიცირებული აქტივისგან წარმოშობილი ფულადი ნაკადები. თუ ფულად ნაკადებში არსებითი ცვლილებაა (ეგრეთ წოდებული „არსებითი მოდიფიცირება“), მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელმეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადგასულად. ამ შემთხვევაში, თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარება წყდება და ახალი ფინანსური აქტივი აღიარდება სამართლიანი ღირებულებით.

კომპანია ახორციელებს მოცემული მოდიფიცირების არსებითობის რაოდენობრივ და ხარისხობრივ შეფასებას, ანუ არსებითად განსხვავდება თუ არა საწყისი ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადები მოდიფიცირებული ან ჩანაცვლებული ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადებისგან. კომპანია აფასებს არსებითია თუ არა ცვლილება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, მოცემული თანმიმდევრობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა. თუ ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავდება, მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმომობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შეფასების გაკეთების დროს კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის დროს გამოყენებული პრინციპების ანალოგიური პრინციპებით ხელმძღვანელობს.

კომპანია ასკვნის, რომ მოდიფიცირება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ცვლილება ფინანსური აქტივის ვალუტაში;
- ცვლილება გირაოში ან სხვა საკრედიტო პირობებში;
- ცვლილებები ფინანსური აქტივის პირობებში, რომლებიც იწვევს შეუსაბამობას „მხოლოდ ძირითანხისა და პროცენტის დაფარვის“ კრიტერიუმთან (კონვერტაციის პირობის დამატება).

თუ ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული, მოდიფიცირებული აქტივისგან მიღებული ფულადი ნაკადები, არ არის არსებითად შეცვლილი, მაშინ მოდიფიცირების შედეგად ფინანსური აქტივის აღიარება არ წყდება. ამ შემთხვევაში, კომპანია ხელახლა ანგარიშობს ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას და მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას წარმოქმნილ თანხას აღრიცხავს როგორც მოდიფიცირებით განპირობებულ შემოსულობას ან ზარალს მოგებაში ან ზარალში. ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ხელახლა ითვლება როგორც მოდიფიცირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება, რომელიც დისკონტირდება ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აკორექტირებს მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებას და არის ამორტიზებული მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის დარჩენილი მოხმარების ვადის განმავლობაში.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია წყვეტს ფინანსურ ვალდებულების აღიარებას, როდესაც მოდიფიცირებულია მისი პირობები და არსებითად განსხვავდება მოდიფიცირებული ვალდებულებისგან მიღებული ფულადი ნაკადები. ამ შემთხვევაში, ახალი მოდიფიცირებულ პირობებზე დაფუძნებული ფინანსური ვალდებულება აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. სხვაობა აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და ახალ მოდიფიცირებულპირობებიან ფინანსურ ვალდებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ მოდიფიცირება (ან გაცვლა) არ იწვევს ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტას, კომპანია იყენებს ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკას. როდესაც მოდიფიცირება არ იწვევს ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტას, კომპანია აღიარებს ესეთი მოდიფიცირებიდან (ან გაცვლიდან) წარმომობილ, ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების ნებისმიერ კორექტირებას, მოგებაში ან ზარალში, მოდიფიცირების (გაცვლის) თარიღში.

ცვლილებები არსებული ფინანსური ვალდებულებების ფულად ნაკადებში არ მიიჩნევა მოდიფიცირებად, თუ ისინი წარმოიშვა არსებული სახელშეკრულებო პირობებიდან. საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისას არსებული საბაზრო განაკვეთის შესაბამისად, კომპანია ხელმძღვანელობს მცოცავი საპროცენტო განაკვეთის ფინანსური ინსტრუმენტებით. ეს ნიშნავს, რომ ეფექტური საპროცენტო განაკვეთი კორექტირებულია პერსპექტიულად.

კომპანია აფასებს არსებითია თუ არა ცვლილება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა. კომპანია ასკვნის, რომ მოდიფიცირება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ცვლილება ფინანსური ვალდებულების ვალუტაში;
- ცვლილება გირაოში ან სხვა საკრედიტო პირობებში;
- კონვერტაციის პირობის დამატება;
- ფინანსური ვალდებულების სუბორდინაციის ცვლილება.

რაოდენობრივი შეფასებისას მნიშვნელოვნად იცვლება პირობები თუ ახალი პირობების მიხედვით ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება, წმინდად გადახდილი/მიღებული თანხების (დისკონტირებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით) ჩათვლით, მინიმუმ 10%-ით განსხვავდება საწყისი ფინანსური ვალდებულებიდან წარმოქმნილი ნარჩენი ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულებებისგან. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების მოდიფიცირება მიჩნეულია ვალის დაფარვად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აღიარებულია ვალის დაფარვიდან მიღებულ შემოსულობასა ან ზარალში. თუ გაცვლა ან მოდიფიცირება არ არის მიჩნეული ვალის დაფარვად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზებულია მოდიფიცირებული ვალდებულების ნარჩენი მოხმარების ვალის განმავლობაში.

ii) აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს გასდის ვადა, ან ის გადასცემს გარიგებიდან მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებზე უფლებებს, გარიგებაში რომელშიც ფინანსური აქტივის ფლობის თითქმის ყველა რისკი და ანაზღაურება არის გადაცემული, ან როდესაც კომპანია არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკებს და ანაზღაურებებს და კომპანია არ ინარჩუნებს ფინანსურ აქტივზე კონტროლს.

კომპანია დებს გარიგებებს, რომლითაც ის გადასცემს მისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ აქტივებს, მაგრამ ინარჩუნებს გადაცემულ აქტივებთან დაკავშირებულ ყველა ან თითქმის ყველა რისკს და ანაზღაურებას. ასეთ შემთხვევებში, გადაცემული აქტივის აღიარება არ წყდება.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როდესაც მის სახელშეკრულებო ვალდებულებები სრულდება, უქმდება ან ვადა გასდის. კომპანია ასევე წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როცა მისი პირობები არის მოდიფიცირებული და მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულებიდან მიღებული ფულადი ნაკადები მნიშვნელოვნად განსხვავდება, რა შემთხვევაშიც მოდიფიცირებულ პირობებზე დაფუძნებული ახალი ფინანსური ვალდებულება აღიარდება მისი სამართლიანი ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, გაუქმებულ საბალანსო ღირებულებას შორის და გადახდილ თანხას შორის სხვაობა (ნებისმიერი გადაცემული არაფულადი აქტივების და ნაკისრი ვალდებულებების ჩათვლით) აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

iii) ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები შეიძლება იყოს ურთიერთგადაფარული და წმინდა ოდენობა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ როდესაც კომპანიას აქვს იურიდიული აღსრულების უფლება, რომ ურთიერთგაქვითოს ეს ოდენობები და ის აპირებს მათ დაკმაყოფილებას წმინდა თანხის საფუძველზე ან აქტივის გაყიდვით იმავდროულად დააკმაყოფილოს ვალდებულება.

k) კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება კაპიტალის სახით. დამატებითი ხარჯები პირდაპირ უკავშირდება ჩვეულებრივი აქციების და აქციის ოფციონების გამოშვებას და აღიარდება როგორც გამოქვითვა კაპიტალიდან, ნებისმიერი საგადასახადო გავლენის გამოკლებით.

l) გაუფასურება

i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები

კომპანია აღიარებს ზარალის რეზერვებს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე.

კომპანია აფასებს ზარალის რეზერვებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი ოდენობით, შემდეგი შემთხვევების გარდა, როდესაც ფასდება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით:

- სასესხო ფასიანი ქაღალდები, რომლებსაც საანგარიშგებო თარიღისთვის აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი; და
- სხვა სასესხო ფასიანი ქაღალდები და საბანკო ნაშთები, რომელთათვისაც საკრედიტო რისკი (ანუ ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში დეფოლტის ალბათობა) არსებითად არ გაზრდილა თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

ზარალის რეზერვები სავაჭრო მოთხოვნებზე ყოველთვის ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი ოდენობით.

ფინანსურ აქტივზე თავდაპირველად აღიარებული საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის დასადგენად და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს გონივრულ და დასაბუთებულ ინფორმაციას, რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი ზედმეტი ხარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე. ეს მოიცავს როგორც ხარისხობრივ ისე რაოდენობრივ ინფორმაციას და ანალიზს, კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ინფორმირებული საკრედიტო შეფასების და წინდახედულობის პრინციპის გათვალისწინებით.

კომპანია ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდად მიიჩნევს, როდესაც მას 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება აქვს.

კომპანია ფინანსურ აქტივს მიიჩნევს დეფოლტირებულად მაშინ, როდესაც:

- არ არის სავარაუდო, რომ მსესხებელი სრულად დაფარავს თავის საკრედიტო ვალდებულებებს კომპანიის მიმართ, კომპანიის მიერ სესხის უზრუნველყოფის რეალიზაციის გარეშე (ესეთის არსებობის შემთხვევაში); ან
- ფინანსური აქტივი 60 დღეზე მეტი ვადაგადაცილებულია.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც წარმოიშობა ნებისმიერი შესაძლო დეფოლტის შემთხვევებისგან ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში.

12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ის ნაწილი, რომელიც წარმოიშობა საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში მომხდარი დეფოლტის შემთხვევებისაგან (ან უფრო მოკლე ვადაში თუ ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადა 12 თვეზე ნაკლებია).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას გამოყენებული მაქსიმალური პერიოდი შეესაბამება მაქსიმალურ სახელმეკრულებო პერიოდს, რომლის განმავლობაშიც კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის საკრედიტო ზარალების აღბათობით შეწონილი შეფასება. საკრედიტო ზარალები ანგარიშდება, როგორც ყველა ფულადი დანაკლისის (სხვაობა ხელშეკრულების მიხედვით კომპანიის მიერ მისაღებ ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომლის მიღებასაც მოელის კომპანია) მიმდინარე ღირებულება.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივები

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, კომპანია აფასებს არის თუ არა ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები გაუფასურებული საკრედიტო რისკით. ფინანსური აქტივი „გაუფასურებულია საკრედიტო რისკით“, როდესაც ფინანსური აქტივის სამომავლო ფულად ნაკადებზე საზიანო გავლენის მქონე ერთ ან მეტ მოვლენას ჰქონდა ადგილი.

მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია საკრედიტო რისკით, მოიცავს შემდეგ დაკვირვებად მონაცემებს:

- ემიტენტის ან მსესხებლის არსებითი ფინანსური სირთულეები;
- ხელშეკრულების დარღვევა, მაგალითად, დეფოლტი ან 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
- კომპანიის მიერ წინსწრების ან სესხის რესტრუქტურისა იმ პირობებით, რომლებსაც კომპანია სხვა შემთხვევაში არ განიხილავდა;
- მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან სხვა ფინანსური რეორგანიზაცია; ან
- ფინანსური სირთულეების გამო ფასიანი ქაღალდების აქტიური ბაზრის გაქრობა.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის წარდგენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების ზარალის რეზერვები გამოიქვითება აქტივების მთლიანი საბალანსო ღირებულებიდან.

ჩამოწერა

ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოწერილია როდესაც კომპანიას აღარ აქვს მისი მთლიანობაში ან ნაწილობრივ ამოღების გონივრული მოლოდინი. კომპანია ინდივიდუალურად აფასებს ჩამოსაწერ ოდენობას და ვადებს, იმის მიხედვით არის თუ არა გონივრული მოლოდინი იმისა, რომ მოხერხდება თანხის ამოღება. კომპანია აღარ ელის მნიშვნელოვანი ოდენობის ამოღებას ჩამოწერილი თანხიდან. თუმცა, ჩამოწერილი ფინანსური აქტივები შეიძლება კიდევ დაექვემდებაროს აღსრულების მცდელობას კომპანიის მხრიდან ვადაგასული თანხების ამოღების პროცედურების შესაბამისად.

i) არაფინანსური აქტივები

კომპანიის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება.

გაუფასურების დადგენის მიზნით, აქტივები, რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რაც ახდენს ფულადი ნაკადების გენერირებას ხანგრძლივი სარგებლობიდან, რომლებიც დიდწილად დამოუკიდებელი არიან სხვა აქტივების ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ფულადი შემოძინებებისგან.

კომპანიის კორპორატიული აქტივები არ ქმნიან ცალკეულ ფულადი ნაკადების შემოძინებებს და გამოყენებიდან ერთზე მეტი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის მიერ. კორპორატიული აქტივები განაწილებულია ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე გონივრულ და თანმიმდევრულ საფუძველზე და მოწმდება გაუფასურებაზე იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის შემოწმების ნაწილის სახით რომელსაც კორპორატიული აქტივი მიეკუთვნება.

აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები სავარაუდო ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებაზე (გადასახადების გადახდამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით), რაც ასახავს ბაზრის მიმდინარე შეფასებას ფულის ღირებულებისა დროში და ამ აქტივებისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალი აღიარდება, თუ აქტივის ან მასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის მოსალოდნელ ანაზღაურებად ღირებულებას.

გაუფასურების ზარალები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებთან მიმართებაში აღიარებული გაუფასურების ზარალი ნაწილდება თავდაპირველად ნებისმიერი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფი) გუდვილის საბალანსო ღირებულებაზე და ამცირებს მას და შემდეგ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფი) სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებაზე პროპორციულობის პრინციპით და ამცირებს მას.

გაუფასურების ზარალის აღდგენა ხდება იმ შემთხვევაში, თუ აღიღი აქვს ცვლილებას ანაზღაურებადი ღირებულებას განსაზღვრებაში გამოყენებულ შეფასებებში. გაუფასურების ზარალი აღდგენილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას, რაც იქნებოდა განსაზღვრული (ცვლის ან ამორტიზაციის გამოკლებით) გაუფასურების ზარალის არ არსებობის შემთხვევაში.

m) დასაქმებულთა გასამრჯელოები

დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე და ხარჯად აღირიცხება შესაბამისი მომსახურების გაწევისას.

ვალდებულება აღიარდება იმ ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსის ან მოგების განაწილების გეგმების ფარგლებში, თუ „კომპანიას“ ექნება მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს ეს თანხა დაქირავებული პირის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების შედეგად და როდესაც ამგვარი ვალდებულება საიმედოდ შეიძლება იყოს შეფასებული.

n) ანარიცხები

ანარიცხები აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ წარსული მოვლენების შედეგად კომპანიას აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომლის შეფასებაც საიმედოდ არის შესაძლებელი და სავარაუდოა, რომ ამ ვალდებულების დასაკმაყოფილებლად აუცილებელი იქნება კომპანიიდან ეკონომიკური სარგებელის გადინება. ანარიცხები გამოითვლება მომავალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების გადასახადების გადახდამდე არსებული განაკვეთით დისკონტირებით, რაც ასახავს ფულის ღირებულების დროში მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტის პოზიციის დახურვა აღიარდება ფინანსური ხარჯის სახით.

19. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის
ძალაში შესული

ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც ჯერ არ ამოქმედებულა
ეს გამოცემა არ მოიცავს იმ საბუღალტრო სტანდარტებს, რომელთა ამოქმედების თარიღი 2025 წლის 1 იანვრის შემდეგია.
მიუხედავად იმისა, რომ კომისიას არ აქვს ვალდებულება ნაადრევად გამოყენების, ბასს 8-ის (ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა, ცვლილებები აღრიცხვის შეფასებებში და შეცდომები) მე-30 პარაგრაფი ავალდებულებს კომისიას, რომ გამოაქვეყნოს ინფორმაცია, რომელიც მნიშვნელოვანია იმ ცვლილებების შეფასებისთვის, რომლებიც ამ ახალი სტანდარტების გამოყენებას მოჰყვება.
ქვემოთ მოცემულია ცხრილი, რომელიც ასახავს იმ სტანდარტებს და შესწორებებს, რომლებიც უკვე გამოცემულია, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა.

ცხრილი – საბუღალტრო სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც გამოცემულია, მაგრამ ჯერ არ ამოქმედებულა (2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით)			
სტანდარტი/შესწორება	გამოცემის თარიღი	ძალაში შესვლის თარიღი (ადრეული გამოყენება შესაძლებელია, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული)	შესწორებული სტანდარტები /ინტერპრეტა ციები
გაცვლითუნარიანობის ნაკლებობა (ბასს 21-ის შესწორებები)	აგვ-23	1-იან-25	ბასს 21, ფასს 1

გაცვლითუნარიანობის ნაკლებობა
ბასს 21-ში შეტანილი ცვლილებები კომისიას ავალდებულებს, რომ მან გამოიყენოს თანმიმდევრული მიდგომა იმის დასადგენად, არის თუ არა ვალუტა გაცვლითუნარიანი და, იმ შემთხვევაში, თუ არ არის, როგორ უნდა განისაზღვროს გამოსაყენებელი გაცვლითი კურსი და რა სახის ინფორმაცია უნდა გამჟღავნდეს.

არამიმდინარე ვალდებულებები გარანტიებით (ბასს 1-ის დამატებითი შესწორება)

IASB-მ 2022 წლის ოქტომბერში ბასს 1-ში შემდგომი შესწორებები შეიტანა, რათა განემარტა, თუ როგორ მოქმედებს ვალდებულების გადავადების უფლება იმ შემთხვევაში, როდესაც კომისიას გარანტიების შესრულება მოეთხოვება.

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც სავალდებულოდ ამოქმედდება 2025 წლის 1 იანვრიდან

გაცვლითუნარიანობის ნაკლებობა (ბასს 21-ის შესწორება)

2023 წლის 15 აგვისტოს, IASB-მ გამოსცა შესწორებები ბასს 21-ში, რომლებიც დაკავშირებულია გაცვლითუნარიანობის ხანგრძლივ ნაკლებობასთან.

წინასწარი მოთხოვნები ამ საკითხზე ბასს 21-ში არ არსებობდა, რის გამოც აღრიცხვაში სხვადასხვა პრაქტიკა გამოიყენებოდა. აღნიშნული შესწორებები ითვალისწინებს იმ შემთხვევებს, როდესაც ვალუტა არ არის გაცვლითუნარიანი და განსაზღვრავს, როგორ უნდა შეფასდეს გაცვლითი კურსი ასეთ შემთხვევებში.

თუ სხვა რამ არ არის მითითებული, ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები კომისიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არსებით გავლენას არ იქონიებს.

სს ბორჯომი ლიკანი ინტერნეიშენალი
მმართველობითი ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ლარში)

სარჩევი:

მმართველობის ანგარიშგების შემადგენელი ინფორმაცია

კომპანიის საქმიანობის აღწერა და ძირითადი მაჩვენებლები.....	3
კომპანიის სტრატეგია და მიზნები.....	3
კომპანიის ძირითადი მიღწევები და ფინანსური შედეგების მიმოხილვა.....	4
კომპანიის მმართველობა და სტრუქტურა	4
ძირითადი რისკები და გაურკვევლობები.....	5

კომპანიის საქმიანობის აღწერა და ძირითადი მაჩვენებლები

სს „ბორჯომი ლიკანი ინტერნიშენალი“ დაფუძნდა 2011 წლის 1 ოქტომბერს სს „საქართველოს განვითარების ფონდი“-სა და შპს „კმგ-სერვის საქართველო“-ს შორის დადებული ჩარჩო ხელშეკრულების საფუძველზე.

2015 წლის იანვრის თვეში საზოგადოების კუთვნილი სასტუმრო კომპლექსი ექსპლუატაციაში შევიდა. საზოგადოების მთავარ საქმიანობას წარმოადგენს სასტუმროს ოპერირება და მომხმარებლებისათვის ხუთ ვარსკვლავიანი სასტუმრო მომსახურების მიწოდება, ასევე სპა და სამედიცინო-გამაჯანსაღებელი სერვისების შეთავაზება.

2017 წლის მიწურულამდე სასტუმრო კომპლექსის ოპერირებას მართვის შეთანხმების ფარგლებში უზრუნველყოფდა FINE OTEL TURIZM İŞLETMECİLİK A.Ş. „RIXOS“ ბრენდის ქვეშ. 2018 წლიდან სასტუმრომ გააგრძელა ოპერირება „ბორჯომი ლიკანის“ დასახელებით. 2018 წლის მეორე ნახევრიდან სს „საქართველოს განვითარების ფონდი“ გახდა კომპანიის 100% წილის მფლობელი.

დღესდღეობით სასტუმრო ოპერირებს საკუთარი სახელით, მის საკუთრებაში არსებულ შენობაში, რომელიც განთავსებულია ლიკანში ისტორიულ საკურორტო ადგილას. შენობის პირველ და ბოლო სართულებზე განთავსებულია რესტორნები: „ბორჯომი ლიკანი“ – 250 სტუმრის ადგილით და „ბაგრატიონი“ – 50 სტუმრის ადგილით. ასევე შენობის -1 სართულზე ფუნქციონირებს 4 საკონფერენციო დარბაზი და დიდი ბოლრუმი. 2018 წლის მეორე ნახევარში გაიხსნა „ბუნგალო“, სადაც სტუმრებს შესაძლებლობა აქვთ დაისვენონ ბუნებაში და ასევე დააგემოვნონ საკუთარი მომზადების ქართული კერძები (2019 წლიდან მასტერკლასები), რაც უზრუნველყოფს დამატებით ამონაგებს.

სასტუმრო „ბორჯომი ლიკანი“ ოპერირებს საკურორტო სასტუმროების ბაზრის სეგმენტში, როგორც ადგილობრივი (არა უცხოური ბრენდი) მაღალი კლასის 5 ვარსკვლავიანი სასტუმრო. სასტუმროში განთავსებულია 151 სხვადასხვა ზომისა და კატეგორიის ნომერი. კომპანია ახორციელებს, როგორც სამკურნალო-გამაჯანსაღებელი მომსახურების მიწოდებას, ასევე სასტუმროსთვის დამახასიათებელი სხვა დამატებით მომსახურებების გაწევასაც.

კომპანიას დადგენილი აქვს ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები, რომლის საფუძველზეც აანალიზებს კომპანიის საქმიანობის შედეგებს. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
საშუალო წლიური დატვირთულობა (Room Occupancy) *	56%	54%
საშუალო ამონაგები ერთ სტუმარზე **	257	245
სტუმრების რაოდენობა (bed night)	64 356	61 075
გაყიდული ოთახები (Rooms sold)	30 889	29 335
ნომრის საშუალო დღიური ღირებულება (ADR) ***	450	432
ამონაგები ერთ ნომერზე (Revpar) ****	257	245
ამონაგები სასტუმროდან და მასთან დაკავშირებული მომსახურებიდან	15 339 218	14 216 764

* სასტუმროს გაყიდულ ოთახების რაოდენობა / წლიურად ხელმისაწვდომი ოთახების რაოდენობაზე

** ამონაგები სასტუმროდან და მასთან დაკავშირებული მომსახურებიდან / სტუმრების რაოდენობაზე;

*** ნომრის საშუალო დღიური ღირებულება (ADR): ამონაგები ოთახების გაქირავებიდან / გაყიდული ოთახების რაოდენობაზე

**** ამონაგები ერთ ნომერზე (Revpar) : ამონაგები ოთახების გაქირავებიდან / წლიური ოთახების რაოდენობაზე.

კომპანიის სტრატეგია და მიზნები

კომპანიის ხელმძღვანელობასა და მის დამფუძნებელს სურვილი აქვთ სასტუმრო განავითარონ სამედიცინო ტურიზმის მიმართულებით. კომპანია აქტიურად ადევნებს თვალს სასტუმრო, სარესტორნო და სამკურნალო-გამაჯანსაღებელ ბაზარზე განვითარებულ მოვლენებს და ახალ ტენდენციებს.

კომპანიის მიზანია კომფორტული ატმოსფერო შეუქმნას, როგორც სასტუმროს სტუმრებს, ასევე რესტორნების მომხმარებლებს. ატმოსფეროს, რომელიც პასუხობს მათ მოთხოვნებს. ამ სტრატეგიით მუშაობა კი, ახალი იდეების რეალიზაციისა და შემდგომი განვითარების საწინდარი ხდება.

კომპანია აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო ტურისტულ კომპანიებთან, სასტუმრო გაწვევრიანებულია მსხვილ საერთაშორისო ელექტრონული დაჯავშნის პორტალებზე (Booking.com, Expedia.com, Hotelbeds....). ასევე სასტუმროს მჭიდრო ურთიერთობა აქვს სხვადასხვა სახელმწიფო, თუ კერძო ორგანიზაციებთან, მათთან ჩამოსული სტუმრებისთვის სასტუმრო, საკონფერენციო თუ სარესტორნო მომსახურების გასაწევად. ამ ეტაპზე სასტუმროს ხელმძღვანელობის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა სასტუმროს ცნობადობის ამაღლება, როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო ბაზარზე. ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ

სს „ბორჯომი ლიკანი ინტერნიშენალი“
2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ცნობადობის ამაღლება და სანდო პარტნიორის სახელის დამკვიდრება ხელს შეუწყობს იმ სტუმრების წილის ზრდას, რომლებიც ნომრის დაჯავშნას განხორციელებენ სასტუმროს ვებ-გვერდის გამოყენებით, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს შუამავლებისთვის გადახდილ საკომისიო თანხების შემცირებას.

კომპანიის საკუთრებაში არსებული რესტორნები მომსახურებას უწევენ, როგორც სასტუმროსა და საკონფერენციო დარბაზების სტუმრებს, ასევე ნებისმიერ მსურველს. აღსანიშნავია რომ, საკმარისზე მეტად გაჯერებულ სარესტორნო მომსახურების ბაზარზე კომპანია თავის დამკვიდრებას ცდილობს ეკოლოგიურად სუფთა და უმაღლესი ხარისხის პროდუქციისგან, პროფესიონალი მზარეულების მიერ დამზადებული კერძების საშუალებით. კომპანიის სამზარეულო სრულად აკმაყოფილებს HACCP სტანდარტებს. ასევე კომპანია აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელებს, როგორც ინსტრუმენტს ბრენდის ცნობადობისა და გაყიდვების ზრდისათვის.

კომპანიის ძირითადი მიღწევები და ფინანსური შედეგების მიმოხილვა

2024 წელს კომპანია ოპერირებდა სრული წლის განმავლობაში. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს საოპერაციო საქმიანობის ძირითად მაჩვენებლებს.

	2024	2023
ხელმისაწვდომი ოთახების რაოდენობა	54 123	54 398
გაყიდული ოთახების რაოდენობა	30 889	29 335
სასტუმროს ოთახების საშუალო წლიური დატვირთულობა*	56%	54%
ნომრის საშუალო დღიური ღირებულება (ADR) კვებით**	450	432
ნომრის საშუალო დღიური ღირებულება (ADR) კვების გარეშე***	257	246


* სასტუმროს გაყიდულ ოთახების რაოდენობა / წლიურად ხელმისაწვდომი ოთახების რაოდენობაზე;

** ამონაგები ოთახების გაქირავებიდან მასთან დაკავშირებული კვების ჩათვლით / გაყიდული ოთახების რაოდენობაზე;

*** ამონაგები ოთახების გაქირავებიდან მასთან დაკავშირებული კვების გარეშე / გაყიდული ოთახების რაოდენობაზე;

კომპანიის მმართველობა და სტრუქტურა

კომპანიის უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს საერთო კრება, რომელიც უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს ნებისმიერ საკითხზე კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებით. კომპანიის ხელმძღვანელობის და წარმომადგენლობის უფლება აქვს დირექტორს - კობა აბულაძე, რომელიც დანიშნულია სს „საქართველოს განვითარების ფონდი“-ს მიერ. კომპანიაში მმართველობითი სტრუქტურა მოიცავს შემდეგ განყოფილებებს:



სასტუმროსა და რესტორნების გამართულად ფუნქციონირებისათვის კომპანიაში 2024 წელს დასაქმებულია საშუალოდ 238 (2023: 237) თანამშრომელი შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე.

კომპანიის ხელმძღვანელობისთვის ერთერთ უმთავრეს საკითხს წარმოადგენს კომპანიაში დასაქმებულ თანამშრომლებზე ზრუნვა. გარდა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნებისა კომპანია ცდილობს მაქსიმალურად კომფორტული გარემო შეუქმნას მომუშავე პერსონალს. კერძოდ, ასევე ყველა თანამშრომლისთვის გათვალისწინებულია სამუშაო პერიოდის დროს საკვებითა და არაალკოჰოლური სასმელით უზრუნველყოფა. ღამის ცვლაში მომუშავე პერსონალს უზრუნველყოფას ახორციელებს კომპანია საკუთარი ძალებით.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა, კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის. ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური გუნდისთვის. კომპანიის ხელმძღვანელობა იღებს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიის ფინანსური განყოფილებისგან, მიმოიხილავს თავის დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას.

ყოველი თვის დასაწყისში ხორციელდება წინა თვის შედეგების (ADR, REVPAR, OCCUPANCY,) შემოწმება და შედარება დაგეგმილ ბიუჯეტთან. ასევე ყოველთვიურად ტარდება საკვები პროდუქტების, სასმელების და სხვა საქონლის ინვენტარიზაცია. კომპანიაში მიმდინარეობს პროცესების და პროცედურების შემუშავება. პროცესებთან დაკავშირებული რისკების გამოვლენა, შეფასება და კონტროლის სისტემის დანერგვა.

სასტუმროს ძირითადი რისკებად შეიძლება განვიხილოთ:

სტუმრებისა და პერსონალის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და პირადი ქონების დაცვა, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოება, მოზინადრეთა და პერსონალის სწრაფი ევაკუაცია, მოზინადრეთა სიცოცხლისა და პირადი ქონების დაცვა, სასტუმროში შეღწევის შეზღუდვა, ვიდეო კონტროლი, ასევე მოზინადრეთა კვებასა და სასმელ წყალზე უსაფრთხოება, ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფა.

რისკის მართვა:

ყოველივე ზემოაღნიშნულის მისაღწევად სასტუმროს გააჩნია 24 საათიანი ცოცხალი დაცვა. დაცვის ყველა თანამშრომელი სისტემატურად გადის ტრენინგებს, როგორც პირველადი დახმარების აღმოჩენის საკითხებში, ასევე საგანგებო სიტუაციებში მოქცევის წესების დასაცავად. სასტუმრო აღჭურვილია ვიდეო სამეთვალყურეო კამერებით, უახლესი ხანძარსაწინააღმდეგო სისტემებით, ასევე გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სსიპ „დაცვის პოლიციის დეპარტამენტთან“, რათა საჭიროების შემთხვევაში განხორციელდეს დამატებითი საპოლიციო ძალების მობილიზაცია.

სტუმრებისთვის უმაღლესი ხარისხის საკვებისა და სასმელის მისაწოდებლად კომპანია თანამშრომლობს მხოლოდ შესაბამისი სერტიფიკატების მქონე დისტრიბუტორებთან. ასევე კომპანია თითქმის ყოველდღიურად ახორციელებს სხვადასხვა დასახელების ეკოლოგიურად სუფთა უმაღლესი ხარისხის პროდუქციის შეძენა-ტრანსპორტირებას საქართველოს რეგიონიდან. პროდუქტების ხარისხის ფასდება მოწოდების დროს და მხოლოდ შემოწმების შემდეგ ხდება მისი მიღება. ასევე პერმანენტულად მოწმდება პროდუქციის ვადები. მიმდინარეობს სისტემატიური კონტროლი HACCP-ის რეგულაციების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით.

რისკის იდენტიფიცირება:

ასევე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროცესი, რაც სასტუმროსა და სარესტორნო ინდუსტრიაში შეიძლება განვიხილოთ არის კომპანიის სახელის (ბრენდი) დაცვა და უფრო მყარად დამკვიდრება, როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო ბაზარზე. რაც გულისხმობს პროცესის, იდეის ან იმიჯის ბაზარზე ისე წარმოდგენას, როდესაც მომსახურება და პროდუქტი უფრო და უფრო მეტი ადამიანისთვის ხდება ცნობილი და გამორჩეულად ხდება იდენტიფიცირება ამ კონკრეტული კომპანიისა.

რისკის მართვა:

კომპანიას ხელმძღვანელობა გამუდმებით მუშაობს არა მხოლოდ ბრენდის ცნობადობის გაზრდისთვის, არამედ მისი რეპუტაციისა და გარკვეული სტანდარტების დამყარებისთვის. ასე მაგალითად, კომპანია მუდმივად ზრუნავს მისი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე, რაც გულისხმობს როგორც რესტორნებისა და სამზარეულოს პერსონალის გადამზადებას, ასევე სასტუმროს მომსახურე პერსონალის უნარ-ჩვევების გაღრმავებასა და მსოფლიოში წამყვან სასტუმრო ინდუსტრიაში არსებული სტანდარტებთან გათანაბრებას.

კომპანიის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს.

ფინანსური რისკები:

კომპანიის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო რისკები, რომლის შესახებაც დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში, იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს.

სს „ბორჯომი ლიკანი ინტერნეიშენალი“
2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 23 ივლისს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

კობა აბულაძე

ფინანსური მენეჯერი

ზურაბ ანთელიძე

სს „ბორჯომი ლიკანი ინტერნეიშენალი“
2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 23 ივლისს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

კობა ზეზულაძე

ფინანსური მენეჯერი

ზურაბ ჭითელიძე